1975
ᲓᲐᲯᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ

პარტია მოგვმართავს, ხალხი ერთხმად იწონებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
5
იანვარი
№ 4
(16130)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ხალხის გულისთქმა

ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ, ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲞᲐᲜᲖᲔ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲒᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲔᲠᲗᲮᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲗ, ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲦᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ, ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲜᲘ, ᲐᲦᲣᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐᲜ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲔᲜᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲣᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲔᲠᲗᲮᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲗ, ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲦᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ, ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲜᲘ, ᲐᲦᲣᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲔᲜᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲣᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲔᲠᲗᲮᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲦᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ, ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲠᲣᲜᲕᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲜᲘ, ᲐᲦᲣᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚ

ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ

ოქრო-ქვის გუნდები

„ლაჯი“ თოთქმის ცარიელია. მხოლოდ ზესტაფონში შემოგვემატნენ მგზავრები. ხიდთან მარცხნივ გავუხვიეთ. ალმართს შევუდექით. უძიე გახუნებული მოლი ასფალტის ორივე მხარეს ხავერდივით არის შეფოყოლებული. რაჭისა და ტყიბულის მთებს მხრებზე მოუგდიათ თოვლის ყაბალახები. „გაშინდა კაცსნის ცნობილი სვეტი... აქედან შორს როდია სხვიტორი, დიდი მგზნების ბავშვობის აკვანი...

„...ჩახუთის პირად, მაღლობზე დგას ორსართულიანი ქვიტკირის სახლი...“ ამ ბეჭობზე, ამ გორაკებზე დადიოდა ის ყოველდღე. ისტორიებოდა, ეძებდა ქვეყნისათვის ახალ სიმდიდრეს და კიდეც ალმოაჩინა „...ათის წლის წინათ, როდესაც ჩვენში ფიქრადაც არავის ჰქონია. თუ რა იყო გუნდა ქვა (მარგანეცი), მე შევნიშნე ჩვენში ეს მაღნეული და განვაძარეს, რომ მისგან ერთი რამ სასარგებლო საქმე შემედგინა“...

ათი წლის განმავლობაში ბევრი შრომა გასწია აკაკი წერეთელმა, ვიდრე დაეტკიცებდა მეფის მთავრობას, მაშინდელ მესვეურებს „შავი ქვის“ სარგებლიანობას. საბადოს პირველად ქორ-ვაჭრები დაეპატრონენ. შემდეგ ამერიკელმა ჰარმონმაც გამოიჩინა ხელი, მაგრამ მომძლავრებულმა საბჭოთა სახელმწიფომ 1928 წელს არა მარტო აქ, დედამიწის ერთ მეექვსედზე თვითონვე იკისრა მისი კეთილი წიაღისეულის დამუშავება.

აღსრულდა სასიქადული პოეტის ოცნება. ერის ქონება ერისავე კეთილდღეობას ხმარდება.

ახლა მუშამ იცის, ვისთვის და რისთვის მუშაობს. ეი რატომ არის, რომ ორი დღის გეგმა ერთ დღეში სრულდება. ეი რატომ გაიზარდა თუნდაც ეს დაბა ასე სწრაფად.

ფუსოვარ დროს გზადგაკლილი რომელიღაც კუთხის ქართველ მხედარს საშვეარდნოს პიტალოდან დაბლა, წრიოზში ჯერ ორიოდე მოსახლის დანახვა გაკვირვებია, ხოლო იქვე, ძაფივით დაგრეხილ მდინარისათვის რომ მოუკრავს თვალი, გაოგნებულა:

— ჭიაა თუ რა? — უკითხავს განცვიფრებულს.

ჭიათურა! ერთ-ერთი პირველი მუშათა ქალაქი! განთქმული მდიდარი წარსულით, ოქრო-ქვით, საპაერო გზებით...

— გადამღიეთ უჩაჩქნოდ!

— ცოტა მოაბრუნეთ თავი.

— აბა, ახე სჯობს!

ფოტოგრაფი ცხარობს, ძლივს გამშვიდებ.

— ჯიუტი ყოფილა. ასეთი არასოდეს შემხვედრია.

— ჩემი საქმე მე გიცი.

— კი, მაგრამ სურათის გადაღება ხომ ჩემი საქმეა?

— ჩემს სურათს იღებ, მე უნდა მკითხო.

— უყურე, შენ!...

— დაუკადებია იქ! — ახლა ჭუმბურიძე ბუზღუნებდა გზაში, — მაგის სათამაშოა? ჩაჩქანი ჩვენი იარაღია, აქეთ წამობრძანდით, აგერ, რვ მაღალკლდესთან პერეგისის მაღაროა. იქით სამგზავრო საბაგირო გზაა. ორ წუთში მივალთ. მანქანით ერთ საათს მოუნდებოდით. ინარის ფანტულაიან, მისმა ოჯახმა, საშვილოშვილო რომ გაიკეთა. როგორ? გაგიგონიათ? გორგის ვინ არ იცნობს. მაგისთანა ინჟინერ-გამომგონებელი სად არის! ყველგან დაჭყავთ, ეკითხებიან. ამ ორი წლის წინათ ლატვიის ქალაქ საგუდაშიც გაიყვანა საბაგირო გზა. ჩვენთან, ნახეთ, მთლად დაქსელილია. 70-მდე ასეთი გზაა. მაღაროები, ქარხნები, ცალკეული უბნები სულ ასეა დაკავშირებული.

სხვაზე ლაპარაკობს, თავის თავზე ხმას არ ღებს. რა ვქნა, ვიკითხო? ვაი თუ ფოტოგრაფიკით მიფრინოს?

— ჩვიდმეტი წლისამ დაიწყო მუშაობა, — ჩემდა იღბლად თვითონ წამოიწყო, როგორც კი მივუახლოვდით მაღაროს. — ხელით ვამტვრევდით ქანებს, ვაგონსაც ხელით ვტვირთავდით. სიდ იყო ასეთი ტექნიკა — პნევმატური ურო, წერაქვი, ელმავალი. ამჟამად ორნი ვასრულებთ მაშინდელი ათი კაცის მოვალეობას და ოცკერ მეტი — 20-25 ტონა მარგანეცი გამოგვაქვს ყოველდღიურად.

მოხე ჭუმბურიძე სამამულო ომის მონაწილეა. მკერდი რამდენიმე მედლით, დიდების მესამე ხარისხის ორდენით აქვს დამშვენებული. პარტიის წევრია. პენსიაზე 1967 წელს გავიდა. მაინც მუშაობს, მერე როგორ? ძველებურად, ახალგაზრდულად.

— მაგის ხნის ხალხი დასვენებას ეძებს. ეს კი...

— აბა, ამოუდეკი გვერდში, თუ ბიჭი ხარ!

სასტემატურად გადამეტებით ასრულებს დღიურ გეგმებს, გამოშუშავებაც შესაბამისი აქვს — 300 მანეთი თვეში, პენსიის — 120 მანეთის ნაუთვლელად. ეერანფერს ამყვა, პროფესორის შემოსაგალია!

სათანადო ცოდნის, დიდ გამოცდილებას საჭიროებს მაღაროელის ბროდეესია. გვირაბგამყვანს ეკალება დასაგის ელმავლის გზა, გაამაგროს ბაგე, ჩამოანგრიოს ქანი და ცალის განმავლობაში დატვირთოს სამ-ს

მი ტონის ტვეთდობის 7-8 ვაგონი. მართლაც სანაქებო გამძლეობა უნდა გქონდეს, რომ სამოცდახუთი წლის ასაკში ყოველივე ეს შეძლო. რა ანიჭებს მოსეს ასეთ ძალას?

შეხედეთ, როგორი ექსტაზით მუშაობს, და უმალვე მიხვდებით.

როცა ადამიანი მთელი გულით ცდილობს, ეს უკვე სულიერია, უკვდავებაა... დიდი სიფრთხილეა საჭირო, როცა ასეთ ადამიანებს ხანდაზმულობის გამო ვთიკისუფლებთ. ავარაბში მოსე უფრო მაღალი, მხარგაშლილი ჩანს.

— ექვსი შვილი მყავს. ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ორი ბიჭი მაღაროელია, უფროსი — არჩილი ზეინკალი, ხოლო დავითი ჩემსავით ავარაბგამყვანია. ბევრისათვის მისწავლებია ეს საქმე. ჩემს აღზრდილებს ბიჭიკო კუბაშვილს, ჯუმბერ ყვავაძეს, ზურაბ კაპანაძეს და სხვებს შვილებში არ ვარჩევ. კარგი მუშები არიან. გაზეთში თუ გამშეერთ, ძალიან გთხოვთ ჩემი მასწავლებელი, პირველი სტაპანოველი ტრიფონ ფოფხაძეც მოიხსენიოთ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჭიათურაში მხოლოდ ორი ათასამდე მუშა იყო. ახლა აქ მარტო ერთ უბანში — ნაკუთში ათი ათასამდე მაღაროელია. მარგანეცის მოპოვებაზე მუშაობენ სოფლების კიბლის, ქვაციხის, ოგასის, წინარეკალის, ხალიფაურის, პერეგისის, შუქრუთის, დარკვეთის, ითხვისის, ჭიქურის, ზოდის მცხოვრებლები.

მარგანეცის ქალაქს საქვეყნოდ განთქმული მრავალი მაღაროელი ჰყავს. სოციალისტური შრომის გმირები არიან პეტრე გოგატიშვილი, ტრიფონ ფოფხაძე, გრიგოლ ჯოხონელიძე, გრიგოლ ტყეშალაძე, ტრესტის მმართველი ლეონ გოშხეთელიანი, ახალი ითხვისის მაღაროს გვირაბგამყვანი გიგა ბაქრაძე 1978 წლის ანგარიშში მუშაობს.

ქალაქის თითქმის ყველა კუთხეში დგას ბარაბანები. აშენებენ, რეკონსტრუქციას უკეთებენ ძველს.

— 1974 წელს ბევრი რამ გაკეთდა. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს ქალაქს ედემად ვიქცევთ.

მოხე ფიმეონოვ დასაქმების ყურადღებას. საშვეარდნოს პიტალოდან ახლა ჭიასავით კი არა, მძლავრ მდინარედ მოჩანს ის. ჩვენს უკან პატარა ელმავლები სატვირთო საბაგიროსკენ მიაროლავენ მარგანეცით, ოქრო-ქვის გუნდებით დატვირთულ „გონდოლა“ გაგონებს. ძვირფასი მადანი გაიგზავნება ფაბრიკებში ლაბორატორიებს და გადწმენდილ-გაბასსებული გაუყვანენ გზას შორს, ჩვენი დიდი სამშობლოს კიდეთ-კიდე, აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის დასაპურებლად.

შალვა ცანავა.



ჭიათურმარგანტრესტის გამყვანი, შრომის ვეტერანი **მოსე ჭუმბურიძე.**

სსრ კავშირის სახალხო მხატვარ **შჩა ჯაფარიძის** ნახატი.

□

მუზეუმი სკოლაში

თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მაგალითი

ახალი რამ შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს შესანიშნავ ქვეყანაში, უმნიშვნელოვანესი საქმეებით დატვირთულმა დიდმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ გამონახოს დრო და ასე გულთბილად უპასუხოს ბავშვთა წერილზე.

ეს მოზარდი თაობისათვის პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვის გამოვლინებაა.

ბევრია გამოკვეთილი, რათდენი სიბარული მოგვიტანა ამ ძვირფასმა სტეფვებმა. ამასთანავე ისინი ჩვენ ბევრ რამეს „გვიგალებენ. პირველ რიგში სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს ავალებენ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ღირსეულად შეასრულოს ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაუსახა საბჭოთა სკოლას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთ ბ ით მოსწავლეთა აღზრდისათვის.

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური წრთობის შემადგენელი ნაწილია სამეფრო-პატრიოტულ ი აღზრდა, ჩვენმა სკოლამ ამ საქმეში გარკვეული გამოცდილება შეიძინა.

სკოლაში ტრადიციად გახდა ოქტომბრელთა ჯარების პარადის გამართვა, რომელიც ყოველ 23 თებერვალს ეწყობა. თვითეული კლასი ირჩევს ჯარების ამ გვარეობას, რომელიც უყვანს: მეზღვაურები, არტილერისტები, მესაზღვრეები, მედესანტეები, ტანკისტები, მამაცი კავალერისტები. ეი ბაბას ხმლით მიმი, სახელგანთქმული სარდლის ბ. ბიქელაძის შვილიშვილი. მკვირცხლად ასრულებს ჯარისკაცულ ვიქვას ბავლიკ ბუდაგიანი, ნორჩ მეზღვაურთა რაზმი კი მღერის მამაცი „ვარიაგის“ სიმღერას.

სკოლის ფოიეში ბავშვების ნახატების დიდი გამოფენა სამამულო ომის თემებზე — აქ ბევრია გამარჯვებული, რომელთა ნახატები ექსპონირებულია სასკოლო მუზეუმში.

მაძიებელმა ჯგუფმა „ახიმეტმა“, რომელიც შექმნილია სასკოლო მუზეუმთან, წარადგინა მასალები საბჭოთა ხალხის საბრძოლო, შრომითი და რევოლუციური დიდების ადგილებზე ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლიმჭრობის შეკრებებზე. რის შედეგადაც სკოლა დაჯილდოდა დიპლომებით და ორი შეკრების ლაურეატი გახდა.

მოსწავლეთა ძიებას მუზეუმისათვის მოაქვს სულ ახალი და ახალი მასალები მფოლარ ქართველებზე, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. დაუვიწყარი იყო შეხვედრები სახელგანთქმულ საბჭოთა კავშირის გმირთან გენერალ-ლეიტენანტ ვ. ჯანჭოველასთან, გენერალ-მაიორ ნ. თავართქილაძესთან, პოლკოვნიკებთან ე. ქანთარიასთან, მ. ბუსკაძესთან, ს. შალოველოვთან, რ. ხარებავასთან და ომის ვეტერინ ქალებთან ვ. ქოლავასთან, ო. ქორდანიასთან, ზ. კოსმოდემიანსკაიას მებრძოლ მეგობარ ნ. ობუხოვსკაიასთან და სხვებთან.

არასოდეს არ დაავიწყდებათ ჩვენს ბავშვებს შეხვედრა ცოცხალ ისტორიასთან — იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებთან, რომლებიც ფორე მოსულიშვილთან ერთად ომობდნენ. ბავშვები ეხვეოდნენ და კოცნიან ალბანი კალეტის (ალბერტან ბრუნის), ტერეზინა მეტოს, ალმანდო კალდარეს და სხვებს, რომლებიც შორეული იტალიიდან ჩამოვიდნენ, რომ ენახათ იტალიის ეროვნული გმირის ფორეს დედა და მამები.

იტალიელმა პარტიზანებმა ნორჩ კავალმაძიებლებს დაუტოვეს ძვირფასი ექსპონატები სასკოლო საბრძოლო დიდების მუზეუმისათვის.

მას შემდეგ ჩვენს ბავშვებს იტალიის წინააღმდეგობის მებრძოლთან ვრცელი მიწერ-მოწერა აქვთ.

მარად დაუვიწყარი შეხვედრა, გამმართა მე-18 საფეხსტო არმიის ვეტერანებთან. დიდი სამამულო ომის წლებში ამ არმიის სარდლობდა საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე, ხოლო პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ეს შეხვედრა მოგვწყო მას შემდეგ, რაც ვმირ ქალაქ ნოვოროსისკს გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ბავშვებს ესაუბრნენ გადამდგარი გენერალ-მაიორი ვ. ზარელუა, ოფიცრები ბ. ჯაბუა, მ. მთვრალაშვილი, დ. ესაკია, მ. ბუსკაძე, გ. ზაქარეიშვილი, ი. მუსიეკი, მ. გუკასიანი, ნ. სერგბრიაკოვი, მ. მენთეშაშვილი. მათ მოუთხრეს მოსწავლეებს ორი მარტო წარსული საგმირო საქმეებზე. ორამენ ერთ-ერთ ასეთ ადგილზე ბავშვებმა ბანერ-ტული საშენი მასალებით. დღეს ჩვენში სილის, ქვიშის, ღორღისა და ბეტონის ნარევებისაგან), ამასთან ძალიან გადადგილებულია მისი კლასიფიცირება, რაც კონტეინერული ტრანსპორტირების დროს პრაქტიკულად შეუძლებელია. ჰიდროტრანსპორტს დიდი პერსპექტივა აქვს თბილისტროლეიბუსგზეებში ჩვენულებრივი ნახშირბის, ავრეთვე ალუმინიუმის ჰიდროტრანსპორტირების დროს.

ჩვენს ქვეყანაში ჰიდროტრანსპორტის საშუალებით ფხვიერი მასალების ბორ მანძილზე გადაზიდვის საკითხი გამოცდილება დაგროვდა. არსებობს ცარცის, ცემენტის და თიხის 350-400 მილიმეტრი დიამეტრის მილებით 10-15 კილომეტრზე ტრანსპორტირების გამოცდილება, ხოლო ქვიშა-ღორღისა — 5-10 კილომეტრზე. 1 ტონა მასალის გადაზიდვის ღირებულება საშუალოდ 5,5 კაპიკს შეადგენს.



„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲝ! ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲗᲘᲗᲝᲕᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲗ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲛᲙᲘᲓᲔᲗ ᲮᲔᲚᲘ, ᲩᲔᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲘᲠᲝᲐ.

ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲫᲘᲒᲘᲗ.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲑᲐᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲧᲔᲚᲡ. ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ.

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

1974 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ“.

ᲮᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲩᲐᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲗᲑᲘᲗ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ.

ᲒᲚ. ᲒᲘᲜᲬᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ ᲡᲐᲛᲘᲚᲔ-ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ

ᲘᲐᲤᲐᲓ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა გაამართეს საქალაქო კონფერენცია „ცნობათ თუ არა თქვენ საბჭოთა კანონებს?“.

კონფერენციაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ, მოისმინეს: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ფარჭოსაძის მოხსენება — „საბჭოები და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღორძინებისათვის ბრძოლა“, დოცენტ ს. ჯაფარიძის მოხსენება — „საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის ძირითადი მიმართულებები“; პროფესორ ნ. ლომსაძის მოხსენება — „მიწათსარგებლობა და ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება“. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნ. წერეთლის მოხსენების თემა იყო — „საბჭოთა ოჯახი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მთავარი წყაროა“.

მეცნიერებმა პასუხი გასცეს ბევრ შეკითხვაზე.

ცხინვალი. (საქ. კორ.). თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრამ და პარტიის ცხინვალის რაიკომში რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის მოაწყეს თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი და კონტროლის იდეოლოგიურ-პრაქტიკული უზრუნველყოფის ამოცანები“.

კონფერენციაზე შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ცხინვალის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესეანოვმ. მოხსენებები გააკეთეს უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგემ პროფ. ე. ქვაჩახიამ, კათედრის დოცენტმა ვ. გოგუაძემ, ასისტენტმა რ. წიქვაძემ, პარტიის ცხინვალის რაიკომის მდივანმა რ. ფარულიამ.

კონფერენციის პრაქტიკულ საკითხებზე ილაპარაკეს გუჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ტაბაღუამ, ქალაქის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ზ. ხოჭოლავამ, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ლ. გოგიბაევამ.

თელავი. (საკ. კორ). აქ მეორეჯერ ოფიციალური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „პელურუსების პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ — მასალების ღრმად შესწავლას.

ლექციებით თემებზე — „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მნიშვნელობა პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“, „საბჭოთა ხალხი, როგორც ადამიანთა ერთობის ახალი ისტორიული ფორმა“, „პარტიის ბრძოლა სოციალიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ თანამედროვე ეტაპზე“, „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, როგორც კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობა“ — გამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის წარმომადგენლები დოცენტები თ. ოდილავაძე, ე. კორძაია ე. ქაცარავა და ბ. ბაშალეიშვილი.

□

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ № 12

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘᲐ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ორგანო „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს—მუდმივი ყურადღება!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიაში

გამიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის მდგომარეობა. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის მიზნით უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, განათლების ორგანოები, საწარმოები და დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ მთელი რიგი საწარმოები და ორგანიზაციები. მაგალითად, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სოფლის სკოლა გადასცა 16-ოთახიანი შენობა, ჯაჩვრის სამთოგამამდიდრებელმა კომბინატმა სკოლას გადასცა შენობა და შეუთანა 15 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ საიმოს სკოლისათვის შეიძინა 50 მაგიდა, 600 მაწოთის ხელსაწყო-იარაღები და სახელმძღვანელოები, შეაკეთა სკოლის შენობა და სხვ.

საიმოს სწავლების ახალი სკოლები გაიხსნა გუდაუთის, მარნეულის, ბოლნისის, ზუგდიდის რაიონებში, **მთელ** რიგ დიდ სკოლებში კი — საღამოს სწავლების კლასები.

უკანასკნელ დროს შესამჩნევად ამაღლდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე. შემცირდა ორწლიანთა, განთვისებულთა და არასაპატიო მიზეზით გაცდენათა რიცხვი.

ამასთან ერთად მუდმივმა კომისიამ აღნიშნა, რომ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არ სრულდება საღამოს სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის შესრულების პროგრესული ნორმა (ქ. თბილისი, კასპი, რუსთავი, მახარაძე, სახბერე და სხვ.).

ზოგიერთი საწარმო და დაწესებულება, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ, ბრუნავს მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმისათვის.

ჯერ კიდევ სუსტია სკოლების კავშირი საწარმოებსა და დაწესებულებებთან; დაბალია მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის კვალიფიკაცია, ხშირია შემთხვევები, როდესაც საგნებს არასპეციალისტები ასწავლიან. ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა უმეხუნოდ გაცდენების აღმოფხვრას (ქალაქ თბილისი, მახარაძის, თეთრი წყაროს, გორდაბნის, თეროლოლის, სამტრედიის, კასპის, მცხეთის რაიონები.).

მთელ რიგ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. დიდია ორწლიანთა რიცხვი;

მოსწავლეთა აკადემიური წარმატება განსაკუთრებით დაბალია გორის, ასპინძის, ქარელის, ახმეტის, მაიაკოვსკის, კასპის და სხვა რაიონებში.

საღამოს სკოლის მოსწავლეები ეუდათ არიან უზრუნველყოფილი ძირითადი სახელმძღვანელოებით (ახმეტის, სღნარის, თელავის, კასპის, გორის, მცხეთის რაიონები). სუსტია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ე. სურგულაძე, შ. გრიგოლავი, ნ. კორრეიძე, დ. ნოხაძე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე ფ. გიორგაძე.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. ბოჭორიძემ. განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება. (საქინფორმი).

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დაკრძალვა

4 იანვარს თბილისელი მშრომელები გამოეთხოვნენ გამოჩენილ მეცნიერს, სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ივანე ბერიტაშვილის ცხედარი ესვენა, განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, განსვენებულის მეგობრები და მოწაფეები, რათა პატივი ეცათ კაცისათვის, ვინც ხიცოცხლე და სამეცნიერო მოღვაწეობა შრომელ ხალხს, საყვარელ სამშობლოს მოახმარა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოიე ძაძებმა. მაღალ კვარცხლბეკზე დგას კუბო აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ნეშტით. კუბოსთან ვიორგვინებია, რომლებიც გამოუზიარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, თბილისის უნივერსიტეტმა, ქალაქის ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა.

გამოთხოვნის უკანასკნელი წუთებია... სპეტაკი ყარაულში დგანან ცნობილი მეცნიერები, განსვენებულის მეგობრები და მოწაფეები, ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, გ. სირაძე, ე. შეკარდნაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯაგანიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ე. შარტავა, ო. ჩერქეზია.

უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგი გახსნა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

— ჩვენმა საზოგადოებრიობამ, მთელმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, — თქვა მან. — გარდაიცვალა მთელ მსოფლიოში აღიარებული, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ქართველ ფიზიოლოგთა სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი.

მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და განსაცვიფრებელი ენერგია აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა მეცნიერების თავდადებული და უანგარო სამსახურის კეთილშობილურ საქმის მოახმარა. ეს საოცრად მიზანსწრაფი და პრინციპული ადამიანი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ ზოგავდა თავს და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ახალი გამოკვლევებით გამდიდრებინა მეცნიერება.

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი სამართლიანად ითვლება თანამედროვეობის გამოჩენილ ფიზიოლოგად. მან ფიზიოლოგიაში შექმნა ორიგინალური მიმართულება, რომელიც დამოუკიდებელ სამეცნიერო სკოლად გადაიქცა. აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის, ნიჭიერი პატრიოტი მკვლევარის, მეცნიერისა და ორგანიზატორის მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობა სამუდამოდ შევა მეცნიერების ისტორიაში.

უსუფეს საბჭოთა ფიზიოლოგთან გამოსათხოვებლად თბილისში ჩამოვიდნენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უდიდესი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები.

სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ხარაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, ფიზიოლოგიის განყოფილების, საბჭოთა კავშირის ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ბ. კოსტიუკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების სახელით — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ტვინის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ო. ანდრიანოვი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სახელით — სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სახელით — ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ა. ბაკურაძე. მათ აღნიშნეს ივანე ბერიტაშვილის ფასდაუდებელი წვლილი საბჭოთა მეცნიერებაში.

წაიკითხეს სამძიმრის დეპეშები, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, აგრეთვე ინგლისიდან და პოლონეთიდან.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. კუბოს ნელა უშვებენ სამარეში. საფლავზე ყვავილების ბორცვი აღიმართა.

...ამიერიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში განისვენებს ნეშტი ივანე ბერიტაშვილისა, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ფიზიოლოგიის მეცნიერების შექმნა და განვითარება საქართველოში.

(საქინფორმი).

ხალხთან მჭიდრო კავშირით

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოწოდებანი

ჰავანა, 4 იანვარი. (საკდისი). აქ გამოქვეყნდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოწოდებანი კუბის კომუნისტური პარტიის ყრილობისადმი, რომელიც ამა წლის მეორე ნახევარში გაიმართება. მოწოდებებში ხაზგასმულია, რომ პარტიის საქმიანობის საფუძველია მისი მჭიდრო კავშირი ხალხთან.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო აღნიშნავს, რომ საჭიროა მაქსიმალურად გადიდდეს წარმოება და შრომის ნაყოფიერება კუბელ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. დაე ყოველი ხელმრმა, ნათქვამია მოწოდებებში, გადალიკეს იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდად, რომლებიც ხალხს დაუსახეს პარტიამ და რევოლუციურმა მთავრობამ.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის. სხვა ქვეყნებთან.

მოწოდებებში აღნიშნულია, რომ საჭიროა უფრო ღრმად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, განამტკიცონ მუშათა და გლეხთა კავშირი, ყოველნაირად შეაწყობინონ ხელი კუბელი ქალების აქტიურ მონაწილეობას აღმშენებლობაში.

პოლიტიკური სკანდალი

მდგომარეობა განგლადეშში

რომი. 4 იანვარი. (საკდისი). აქ ატყდა ახალი პოლიტიკური სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია ტელეფონთან ლაპარაკის მოყურადებასთან. ამ უკანონო საქმიანობას შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამსახურის ოფილეებით ეწეოდა სპეციალურად შექმნილი სტელეფონო ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1974 წლის აპრილში მიიღეს კანონი ტელეფონით ლაპარაკის საიდუმლოების დაცვის შესახებ, ეს ცენტრი განაგრძობდა მეტი წილი იტალიელი მოქალაქეების ტელეფონების მოყურადებას.

ნოემბერში ეროვნულ ასამბლეის წევრი ალბერტო მანანი, საფეიქრო მრეწველობის მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე და მთელი რიგი სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეები, რომლებიც ამბილეს ხაზინის მეურვეობასა და საბოტაჟში.

პირველ იანვარს ჩიტაგონგში დაატყვევეს შარაზ საკდარი — ტერუმმარცხენე ტეროროისტული დაჯგუფების მეთაური.

ამ მეოთხტური იტალიელეზა ბანდის წევრები ღამით თავს ესხმოდნენ პოლიციელთა უბნებს, ძარცვავდნენ ბანკებს, თავს ესხმოდნენ ხამგზავრთ ბორნებსა და მატარებლებს. დაატყვევების შემდეგ შ. საკდარი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ იგი მოკლეს.

შინაგანი უშიშროების განმტკიცების ლონისძიებებს საყოველთაოდ იწონებს ბანგლადეშის ხალხი.

ეგვიპტის სახალხო კრებაში

კაირო, 4 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა ეგვიპტის სახალხო კრების მუდმივი კომისიის, ეროვნული უშიშროებისა და აღგილობრივი თვითმმართველობის კომისიათა წევრების საგანგებო სხდომა.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ა. ა. ჰეგაზიმ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ. სალემმა სხდომას ანგარიში წარუდგინეს ეროს ტაინსაკენელი ამბების შესახებ.

როგორც უკვე ოფიციალურად ეწოდებოდნენ, 1 იანვარს ეგვიპტისმგებელი ელემენტთა ჯგუფმა შეაღწია მოქმთა რიგებში დედაქალაქის ბაბალ-ლუკის რკინიგზის სადგურში, შეწყვიტა მატარებლების მიმოსვლა, ხოლო შემდეგ დემონსტრაციები მოაწყო კაიროს ქუჩებში.

სხდომის მონაწილეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ნათქვამია, „ორ შეიძლება საბოტაჟისა და ანეულობის მოყვარულ ელემენტებს მივცეთ უფლება ზიანი მიაყენონ თავისუფლებასა და პეიუნისშენებლობას“.

მიღებულია გადაწყვეტილება 6 იანვარს მოიწვიონ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახალხო კრების საგანგებო სხდომა „სახალხო პრობლემების უსწრაფესად გადაწყვეტისათვის“. მთავრობის წინადადებათა განსახილველად.

ამბები • ფაქტები

რომი

კონსტიტუციურ ნორმებს არღვევენ

დკკ

დააპატიმრეს ტერორისტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ფასები იგრდება, ინფლაცია ძლიერდება

ინგლისი. სამედიცინო პერსონალის მწვავე ნაკლებობის გამო ინგლისის საავადმყოფოებში პაციენტები იძულებული არიან თვეობით ელოდონ სასწრაფო ოპერაციას. ამასთან ყოველწლიურად მცირდება საწოლთა რაოდენობა სახელმწიფო პოსპიტლებში.

სურათზე: (მარცხნივ) ელინგტონის მედმუშაკები პროტესტს გამოთქვამენ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობის შემცირების წინააღმდეგ.

აშშ. სამი თვეა არ წყდება რასობრივი მეფლეგარება ბოსტონში. განათლების დარგის ხელმძღვანელობა უარს ამბობს თეთრკანიანი და ზანგი ბავშვების ერთობლივი სწავლის თაობაზე დადგენილების შესრულებაზე.

სურათზე: პოლიცია ცდილობს დააშოშმინოს თავაშვებული რასისტები.

აპ-საკდესის ფოტო.

ამერიკელ-ინგლისელ-ბელგიელ-ფრანგ-ესპანელ-ბერძენ-ბრაზილიელ-ინდოელ-ბანგლადეშელ-ეგვიპტელ-ალჟირელ-ბულგარელ-ბელორუსელ-ბაკელ-ბაქელ-ბაკელ-ბაქელ-ბაკელ-ბაქ

 კარლო კალაძე

საბჭოთა ფოლკლორიდან

მოსკოვი. ძველი ხიდი.

ნიკოლოზ ტიხონოვს

ათოვს, კვლავ ათოვს სიმებივით გაბმულ მავთულებს.
ცა გაიცრიცა. სცივათ ხეებს ცად ალანდღულებს.
კოშკის საათი დასდევს მხოლოდ წუთებს მშვილდ-ისრით,
წუთებს. ფიფქივით სიბნელეში მომოფანტულებს!

დღემ ძლივს მოახწრო ჩაძინება და ჩათბუნება.
ჩუმად, ქვის კედლებს შეეხიზნა სადღაც ბუნება,
და ვინ რა იცის, ცდილობს იქნებ დედა-ქალაქი
რომ ძილს უმზეოს არ შეეტყოს დაძაბუნება!..

ზამთარი ისე მიიმწყვდია ჭარმა კარდაკარ,
ისე, რომ ისიც გეცოდება გამვლელს ხანდახან,
ათოვს, კვლავ ათოვს დედა-ქალაქს გაუთავებლივ
და ჩემი ფიქრიც კორიანტელს მიაქვს ქარდაქარ!

აჰა, ქვის ხიდი, ხაგანგებოდ ქვა-ჩარკინული
დგას წქალში მძიმედ, მიხატვია ბურჯებს უინული,
და შუქი მხოლოდ ცივი ლამის ბურს გამოსკვივის —
მხოლოდ სარკმელი იხედება ვით თვალხილული!

ო, ამ სარკმელში ქრება ღამე, დილა თენდება,
ვინც იქ ზის—იმ კაცს დათოვლილი თმაც დაშვენდება,
და ის კი ისე არ გახედავს დათოვლილ ზამთარს —
თუ საქართველოს გაზაფხული არ ახსენდება.

იქაა, სადაც ჩვენი წმინდა ქვათახვევია,
მკლავებით წიფლის მკლავებს კვლავაც გადაპხვევია...
ალალიც იყოს გახსენება იმ გაზაფხულის!
თოვლი არც უჭკნობ თვალის წამწამს არ დაფრქვევია,
არც უქრობ სარკმელს...

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

რ. ლაღიძე — „კოცნა“

ინტერვიუ ორგზის ჩემპიონთან

საერთაშორისო ოსტატის გიორგი ნადარეიშვილის შემოქმედებითი მიღწევები და გამარჯვებათა ნუსხა ფართოდ არის ცნობილი ჭადრაკის სამყაროში, საქართველოს ორგზის ჩემპიონი და საჭადრაკო კომპოზიციის რესპუბლიკური კომისიის თავჯდომარე „მერანის“ საახალწლო გამოშვების სტუმარია.

— რას იტყვით ახლახან დამთავრებულ საკავთველოს პირადი პირველობის შესახებ საჭადრაკო კომპოზიციაში?

იგი ძირითადად საკავშირო პირველობის მსგავსად ჩატარდა, თუმცა ჩვენი კომპოზიტორების შეფასებებია დათვალიერების პერიოდი გაცილებით ხანგრძლივი იყო. ამ გარემოებამ საორტული მომენტი ერთგვარად შესუსტა, სამაგიეროდ სავსებით ნათლად დაგვანახვა რესპუბლიკის ავტორთა საერთო დონე და შესაძლებლობები.

— ახლელდობრ როგორ შეფასებდით ქართული კომპოზიციის მიერ განვლილ გზას?

— დღეს ჩვენს რიგებშია სამი ოსტატი (ამ ერდან ორს საერთაშორისო ოსტატის წოდება აქვს მინიჭებული) და ათამდე ამ წოდების რეალური პრეტენდენტი. რესპუბლიკას აკავს შესანიშნავი პრობლემისტები ი. კრიხელი და ვ. სავრეხკო. ასალი სპორტულ-შემოქმედებითი წარმატებებია მოსალოდნელი ი. შოსტის, რ. თბარიანის, ი. ტაბიძის, შ. სუხეტაშვილის, ჯ. მახათაძის, რ. მინდაძის, ვ. დადიანიძის, გ. კაკაბაძის და აგრეთვე რამდენიმე ახალგაზრდა დაწყებული შემდგენელისაგან, რომელთაც კომპოზიციის დიდ სიყვარულთან ერთად დაუფალავი შრომა მართებთ სანუკვარი მწვერვალების დასაპყრობად.

— ახლახან მოსკოვში დამთავრდა საჭადრაკო კომპოზიტორთა საკავშირო პლენუმი, რომლის მუშაობაში თქვენც მონაწილეობდით. რას გვეტყვით ამ ფორუმის შესახებ?

— პლენუმმა ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა საჭადრაკო კომპოზიციის შემდგომი განვითარების ხაზით. ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება ცნობა, რომ შედგენილია და დასაბეჭდად მზადდება საჭადრაკო კომპოზიციის კოდექსი, ახლო მომავალში ალბათ შემოღებულ იქნება სსრ კავშირის გროსმაიტერის წოდება კომპოზიციაში, ყოველწლიურად გამოიცემა ალმანახი „საჭადრაკო კომპოზიცია სსრ კავშირში“, მოეწყობა საკავშირო და რესპუბლიკური პირველობები კომპოზიციების ამოხსნაში.

— რას უსურვებდით ჩვენს საჭადრაკო კლუბ „მერანს“?

— დარწმუნებული ვარ, რომ კომპოზიციის — ამ ბრძნული და ლამაზი ხელოვნების მოტრფიალენი ჩვენში ბევრია, რამაც განაპირობა „მერანის“ შექმნაც და მისი პოპულარობაც „კომუნისტის“ მკითხველთა შორის. ჩემი სურვილია ახალ ეპოქ კიდევ უფრო გაზრდილიყოს კლუბის წევრთა რიცხვი.

— რა ნაწარმოებს შესთავაზებდით ჩვენს ამომხსნელებს?

— ეტიუდის ამოხსნა საკმაოდ რთული ანალიტიკური პროცესია და იგი გაცილებით უმჯობესია ეტიუდი ვიდრე ამოცანის პასუხის პოვნა. მაგრამ ამან არ უნდა აგვიცროს გული. სამაგიეროდ, განუზომელია ის სიხარული, რასაც სინდისის გადალახვის შემდეგ განიცდის ადამიანი. მკითხველებს მინდა ერთი ეტიუდი შევთავაზო ამოსახსნელად. ვიმედოვნებ, თუ ისინი საპატიო კონკურთამაშს მიაგზავნენ და ამასთან, ყველა ფიგურა ბოლომდე შემორჩენილა დაფაზე, ამ ნაწარმოების ამოხსნა მათ არ უნდა გაუჭირდეთ.

ბ. ნადარეიშვილი, 1973



მოგება.

ხაუბარი ჩაიწერა

ვ. ნეიძემ.

ვუფრთხილდეთ გრიპს

სსრკ ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჩავლეიშვილი

გარდაიცვალა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1931 წლიდან, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული ინჟინერი სერგო ქუმელიძ-ქუმელიშვილი.

ს. ჩავლეიშვილი დაიბადა 1908 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ აჭში გლეხის ოჯახში. 1926 წლიდან მუშაობდა მთავარნავთგასაღების ბათუმის განყოფილებაში. 1928 წლიდან 1932 წლამდე სწავლობდა ბათუმის ინდუსტრიულ მუშფაკში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით.

1938-1942 წლამდე მუშაობდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ფაკულტეტის დეკანად და სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის ასისტენტად. სამამულო ომის პერიოდში — 1941 წლიდან 1942 წლის ივლისამდე საბჭოთა არმიის რიგებშია.

1943 წლიდან 1951 წლამდე ს. ჩავლეიშვილი მუშაობდა აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად. 1954 წლიდან 1955 წლამდე ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ კი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ. 1973 წლიდან იყო პერსონალური პენსიონერი.

ს. ჩავლეიშვილი მრავალჯერ იყო არჩეული აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

ს. ჩავლეიშვილის სხვისა სამუდამოდ დარჩება მისი ყველა ამხანაგის გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ნახეთ თბილისის კინოთეატრებზე

მიტოვებული ოლიმპიადის ხელობა

ოვის დამთავრების შემდეგ მიტოვებულ მთიან სოფელში ბრუნდება მისი მკვიდრი ფროლეტელი აზარია. მას ვერ წარმოედგინა არსებობა. მშობლიური კუთხის გარეშე და გადაწყვიტა თავის ცოლთან — არაენთან ერთად სამუდამოდ აქ დასახლება. მაგრამ ძალზე ძნელია ერთმა ადამიანმა შეცვალოს მთელი სამყარო, და მთავარი გმირების ურთიერთობაში დაირღვა კეთილი დამოკიდებულების ჩვეული რიტმი. ხეობაში გეოლოგების ექსპედიცია მუშაობს...

ფილმის რეჟისორია ე. კეოსაიანი, სცენარი გკუთვნით: ა. აგაბაბოვს და ე. კეოსაიანს, ოპერატორია ვ. ილინი. მთავარ როლებს ასრულებენ: ლაურა გეგორქიანი, არმენ ჯიგარხანიანი, ალექსანდრე ხაჩატრიანი.

„არმენფილმის“ ნაწარმოები.

აბა შენ იცი

უკრაინელი კინემატოგრაფისტები გვთავაზობენ ახალ კომედიას „აბა შენ იცი“. მისი გმირები არიან ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ ბუნების სიმდიდრის შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის. ფილმის ლეიტმოტივი — გიყვარდეს და უფრთხილდებოდე ბუნებას, რომელიც ადამიანისთვის ერთგული მეგობარია. ფილმი გკუთვნის რეჟისორ ვ. ივანოვს, სცენარის ავტორები არიან: ი. კოსტიუკოვსკი, მ. სლობოდსკი, როლებს ასრულებენ: ა. არკადიევი, ნ. გრინკო, კ. სოროკინი და სხვ.

ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია.

დაკარგული პრემია

იუმორესკა

ყველა გაჩუმდა. ისხდნენ და ღუმდნენ. და ეს მძიმე დუმილი უსიტყვოდ მეტყველებდა, რომ მთელი კოლექტივი ოჯდა დამნაშავის სკამზე უფროხიანად...

და ასე იყო. გუშინდელ დღესავით ახსოვს ტრესტში ყველას, ამ ექვსი თვის წინათ მმართველმა თავისი ნაოფისები ქალაქისკენ რომ მოიყვანა, ეკონომისტად მოაწყო, და იმ დღიდან ერთხელაც არ დაინტერესებულა მისი აკადემია. თანაშრომლებმა კალმით თვალწარბწამწამმოხატულ ხათუნას იმთავითვე შენიშნეს უცნაურობა: ყველას ზევიდან უყურებდა, თავი ისე ამაყად ეჭირა, თითქოს მთელი ქვეყნის ბედი მასზე ყოფილიყო დამოკიდებული. ხათუნას ლამაზ ტუჩებს ერთხელ უნებურად კიდევაც წასცდა: „ზე და მთავრე ჩემკენ იყოს, ვარსკვლავების ჭახა-ბუში რას დამაკლებსო“, რა თქმა უნდა, მიუხვდნენ, „ზე“ უფროსი იყო, „მთავრე“ — უფროსის მეორე ნახევარი, ვარსკვლავები კი თვითონ — თანამშრომლები.

თამბირზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ხათუნას ოთახში მომუშავე —ერმილე, ნაპოლეონი, ჟუჟუნა, კარინე და აღათი. ისინი ცოცხალი მოწმეები არიან, მათ ყველაფერი იციან, მაგრამ მათაც პირში წყალი ჩაუგუბებიათ, ხათუნაზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, შუბლს იკუნტნიან და ენის წვეროზე მომდგარ სიტყვებს გულში უსმენ იმარხავენ.

...მათ კარგად ახსოვთ სამსახურში ხათუნას პირველი გამოცხადების დღეები. მაშინ ქალიშვილს ტელეფონთან თამაშის სახმილი სწვავდა, ნიადაგ ყურმილი ეჭირა და ღილიდან საღამომდე მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდათ: „დიდედა, გკოცნი“, „მამიდა გეხვევი“, „ელეონორა, ბულდოგი საპოკეები მიუღიათ წყნეთის უნივერმაღში“, „ჯონი, დღეს კინოში მივდივართ, ზემელზე დამიხვდი 7 საათზე“.

...მერე, ხათუნა ოთახიდან გაუჩინარების ჟინმა აიტანა და ტელეფონი მოიძულა. დაიარეშოდა კაბინეტიდან კაბინეტში. საათობით ელაზღანდარებოდა თანატოლ ქალიშვილებს და ჭაბუკებს, და თავს იქცევდა.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ეს გართობაც მოყირჭდა. ახლა უკვე გული არ უჩერდებოდა სამსახურში, აფორიაქებულ-აწრიალებული იყო და ბოლოს თანდათან მოუხშირა ნაშუადღევს ტრესტიდან თვითნებურად წასვლას.

ყველა ყველა და, იმ დღეს მაინც რა დაავიწყებთ, როცა ხათუნამ ერთ დილას ჩანთიდან მოხერის ძაფის გორგალი და ლითონის პრიალა ჩხირები ამოიღო და... ქსოვა დაიწყო.

იმ დღეს იყო ახალგაზრდა დამწყებმა პოეტმა ერმილემ თავისთვის რომ ჩაილაპარაკა: „შეფის ანგელოზს უფლებამოსილიაო“ და თავის სამუშაო განაგრძო, მაგრამ ხათუნას ლამაზ ხელებში მეხუთე დღესაც რომ აელვარდა პრიალა ჩხირები, ერმილემ სიცილით წამოიძახა, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო და სამსახურის ნახევარი დრო ლეკვების თხზვაში შემოესარჯა, მეორე დღეს კი დილაადგე დაიწყო მუსასთან თამაში...

ასლომხედველმა ნაპოლეონმა მხოლოდ მეათე დღეს შენიშნა ერმილეს — ჭაბუკს მუზა აწვალებსო. ესეც ასოოთ. მერე ხელსაქმით გართულ ხათუნასკენ გაიპარა მზერა, ფრთხილად ამოიღო უჯრიდან საფოსტო მარკებით აჭრელებული ალბომი და „ფილატელიის განვითარების პერიოდიზაციის“ შინ დაწყებული ნაშრომის წერა დაიწყო.

ან იმ დღეს რა წაშლის მათს მეხსიერებაში, კარინემ კროსვორდის შედგენა რომ დაიწყო და კოლეგებს წარამარა აწუხებდა კითხვებით: შემსალაროში შეტანილ ფულს რა ეწოდება, ვინ იყო ამერიკის პირველი პრეზიდენტი, ჰემინგუეის ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებს რა ეწოდებაო და ა. შ.

ჟუჟუნა ერთ ხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, გაპყოლოდა თუ არა ცოთუნების ტალღას, მაგრამ, ვაითუ მეგობრებმა აღმაცერად დამიწყონ ყურებაო და, იძანაც დაიწყო ქსოვა.

ამ დღეს ერთი სასაღილო სცენაც გთამაშდა. ესეც ახსოვთ: ერმილემ, რომლის მუზასაც იმ კვარტალში ნექტარივით ასაზრდოებდა ჟუჟუნას ბიზნედილი თვალების ციმციმი, ქალიშვილის გასაოგნად თავისთვის ჩაილაპარაკა, უხერხულიაო, ამის პასუხად კი ინტიმური ლირიკის გმირმა ჩაიღიღინა:

— რა მოხდა, შე კაცო, ყველა პოეტი როდია, ლექსებს წერდესო, — და ხათუნას თვალი ჩაუპაჭუნა.

ან იმ დღეს როგორ დაივიწყებენ, სპპენსინო ასაკს მიტანებულმა აღათიმ ძველ გვერდზე რომ გადადო სამსახურის დავთრები და ჩვენული სიდინჯით შვილიშვილისათვის მოხერის წინდების ქსოვა დაიწყო...

ღამე დღეს მისდევდა. ახლა უკვე სამუშაოს დამთავრებამდე და ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც იწერებოდა ჟუჟუნასადმი მიძღვნილი ერთი განწყობილებითა და ინტონაციით შეთხზული ნაირ-ნაირი საგალობლები; თავის „პერიოდიზაციას“ ჩაკირკიტებდა თავაუებლივ ნაპოლეონი, კროსვორდის შედგენას ამთავრებდა კარინე, ორი ქალიშვილისა და ერთი დედაბერის თითებით კი გამალებით იქსოვებოდა მოხერის ჯემპრები, მინიკაბები, ჭუდები, წინდები... მერე ეს „ნოვატორობა“ თანდათან გაბერა, გახმაურდა, გასცდა ოთახის კედლებს და სენიონი მოედო ტრესტს...

მხოლოდ ერთხელ დაირღვა ოლიმპიური მყუდრობა ხათუნას ოთახში — ეს დღეც ახსოვთ — განყოფილების გამგე მოუოდნელად შემოაჭრა, მაგრამ ლითონის პრიალა ჩხირების ჭლვარებისაგან თვალახვეულმა, სადღაც ცხრა მთას იქით დალანდა მჭსოველები და ვიდრე სათვალე მოირგო, ოთახში დეკორაცია შეიცვალა.

ადამიანების მეხსიერებაში სწორედ ეს ფაქტები იყო შემონახული, მაგრამ ისინი იქვე დარჩნენ და ისე დარულდა თამბირი, რომ მმართველმა ვერა და ვერ გამოიწვია თავისი მრეველი გულახდილ საუბარში, მრავალრიცხოვან ჯანსაღ კოლექტივში რომ იცით ხოლმე ადამიანებმა; „მზემა და მთვარემ“ და საკუთარმა ცოდვებმა შებორკა ვარსკვლავები. ისინი უღიღამოდ ციმციმებდნენ და გულჩათხრობილი მისტიროდნენ დაკარგულ პრემიას.

არჩილ დავითიანი.

ა. კანდელაკის ნახატი.

საქართველოს ზოოტექნიკურ - საბეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ!

დაუსწრებელი სწავლების დეკანატი გაცნობებთ, რომ ინსტიტუტში ზოოტექნიკური და საბეტერინარო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის თვის ყოველ შაბათს 10—5 საათამდე დამატებით ეწყობა მიმოხილვითი ლექციები, კონსულტაციები, ჩათვლები და გამოცდები.

დაბალანებული სტუდენტები ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ ინსტიტუტში სათანადო სამუშაოების შესრულებისათვის და ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

ტელევიზია

5 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „საჭადრაკო სკოლა“, 11.20 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „და მაშინ ვთქვი არა“, 12.35 — კინონარკვევი, 13.00 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „სოფლის საათი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — კინოაფიშა, 15.00 — კონცერტი თელავის მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ვოკალური ანსამბლის მონაწილეობით, 15.40 — „მწერლების საახალწლო ნობათი. (გამეორებით), 16.35 — კინონარკვევი, 16.55 — „საერთაშორისო პანორამა“. (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — კონცერტი, 18.10 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 18.40 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი — „ჯადოქარი ზურმუხტების ქალაქიდან“ (IV სერია), 19.00 — „კინოლექტორიუმი“, 20.35 — შენთვის, საბჭოთა ადამიანო. (გამეორება), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „პაუზა“, 23.10 — კინონარკვევი, 23.30 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო დადგმა, 19.35 — კონცერტი, 20.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ყვავილი თოვლზე“.

6 იანვარი

პირველი პროგრამით

17.05 — დოკუმენტური ფილმი, 18.00 — განცხადებები, 18.05 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოქარი ზურმუხტების ქალაქიდან“ (V სერია), 19.00 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.20 — „შემხვედრი გეგმა — მოქმედებაში“, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — ფერადი ტელევიზია. იტალიური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „პუჩინი“. პრემიერა. (I სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური აფიშაზეთი“ (გამეორებით). დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმები, 19.35 — განცხადებები, 19.40 — სატელევიზიო ფილმი, 20.30 — დიდი გამარჯვების 30 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ივანეს ბავშვობა“.

რადიო

6 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ო. გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მ. ბალანჩივაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „თამარ ცბიერი“, 11.45 — საუბარი „მეცნიერთა შემხვედრი გეგმა“, 12.15 — პოლონეთის ინსტრუმენტულ ანსამბლ „სტუდია ემ-ორის“ კონცერტი, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. — გ. აბაშიძის ლექსები, 12.30 — ფ. ლისტი. ეტიუდები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „სათაფლია“, 18.05 — ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — მუზეუმი საორკესტრო პიესები, 19.00 — საუბარი „ორიოლელ მშენებელთა გამოცდილების დანერგვით“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „ტექნიკური პროგრამები და შრომის ხარისხი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — მღერის ტ. გობი, 21.00 — ნ. ტიხონოვი. „დროისა და ჩემს შესახებ“. გადაცემა მეოთხე: „საქართველო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.40 — რ. გაბიჩვაძე. სიმფონია სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანისა და ლიტავრებისათვის; ს. ცინცაძე. მუსიკა კამერული ორკესტრისათვის. და სავიოლინო კონცერტინო, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

5 იანვარი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რომეო და ჯულიეტა (დღისით), **ხანუმა** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ალუბლის ბაღი** (დღისით და საღამოს); **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მოვდივართ და მოვიმღერით** (დღისით), **ჩემი მშვენიერი ლედი** (საღამოს).

სპორტის ამგეგი

ჭადრაკი. ჰასტინგსის საახალწლო საერთაშორისო ტურნირს ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობს ანდერსონი (შვეცია) — 3,5 ქულა. ისლანდიელ სიგურიონსონსა და ინგლისელ მაილს სამ-სამ ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. სსრ კავშირის ჩემპიონმა ბელიავსკიმ მოსაგებ პოზიციაში (მას ორი ზედმეტი პაიკი აქვს) გადადო მეხუთე ტურის პარტია ახალგაზრდა ამერიკელ ოსტატ დიზენთან. ერევანელმა ვაპანიანმა თეთრებით უკვე 22-ე სვლაზე წაგო იუგოსლავიელ გროსმაისტერ პლანინეცთან.

ჩრდბურნი. მელბურნში დამთავრდა ავსტრალიის და ჩემპიონატი. ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ავსტრალიელი ბულგონგი და ამერიკელი მაიკლი, რომლებმაც ფინალში სძლიეს კორტსა (ავსტრალია) და მორიზოვას (სსრ კავშირი) — 7:6, 7:6. ვაუთა წყვილების ფინალი მოიგეს ავსტრალიელებმა ალექსანდერმა და დენტმა, რომლებმაც ანგარიშით 6:3, 7:6 დაამარცხეს თანაგუნდელები სტოუნი და კარმაიკლი, ჭაბუკთა შორის კასმ (საფრანგეთი) გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო ამერიკელ ლუიეის — 6:4, 6:4.

ტრამპლინიდან ხტომები. ობერ სტდორფსა და გარმიშ-პარტენკირჩენში (გფრ) დაიწყო ტრადიციული „ოთხი ტრამპლინის ტურნირი“. გამარჯვება მოიპოვეს შესაბამისად ავსტრალიელებმა ვ. პიურსტლმა და კ. შნაბლმა. ორი სტარტის შემდეგ წინ არის პიურსტლი — 438,1 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან შმიდტი (გდრ) და ე. ფედერერი (ავსტრია). საბჭოთა სპორტსმენი ი. ჯალინინი მეხუთე ადგილზეა — 408,5 ქულა.

ჩვენ ვნანობთ, ჩვენ ვოვილჩიდოთ

ბ. ნადარეიშვილი, 1973

ბ. ჩავლეიშვილი

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ 3 მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-31, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა წმენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02508

ს.ფ.კ. ც.კ.-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14